ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4277254

ნომერი: AR1644612

თარიღი : 16.11.2018

გაცემის თარიღი : 26.11.2018

გაცნობის თარიღი : 26.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის გამზირსა და გუდამაყრის ქუჩის კუთხეში, (ნაკვ.9/2) ; ქალაქი თბილისი , გურამიშვილის გამზირსა და გუდამაყრის ქუჩის კუთხეში;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 16 ნოემბერს №AR1644612 განცხადებით მომართა თენგიზ ესიავამ. განმცხადებელმა მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირსა და გუდამაყრის ქუჩის კუთხეში, (ნაკვ.9/2) / ქალაქი თბილისში, გურამიშვილის გამზირსა და გუდამაყრის ქუჩის კუთხეში, შპს სან დეველოფმენთის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.12.07.009.039), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 08 ივნისიდან 2018 წლის 08 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 08 ივნისიდან 2020 წლის 08 ივნისის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითა მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 08 ივნისიდან 2018 წლის 08 სექტემბრის ჩათლით''.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 14 მაისის №AR1600536 განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის მოქმედების ვადა სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანებით უნდა განსაზღვრულიყო 24 თვით 2020 წლის 08 ივნისის ჩათვლით, მაგრამ ტექნიკური შეცდომის გამო განისაზღვრა არასწორად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე თენგიზ ესიავას 2018 წლის 16 ნოემბრის №AR1644612 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 08 ივნისიდან 2020 წლის 08 ივნისის ჩათვლით''.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4001676 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.